

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

16/10/2026

MES 7 26 0001465765

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტთა დამატებითი რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ 25-ე მუხლის და „2026 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში აბიტურიენტთა დამატებითი რანჟირების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 13 ოქტომბერი MES 7 26 0001444128 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. აბიტურიენტებმა, რომლებმაც 2026 წელს ერთიანი ეროვნულ გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების უფლება, 2026 წლის 20 ოქტომბერს 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნდა გაიარონ რეგისტრაცია და წარმოადგინონ ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაცია (დანართი №1) შესაბამის ფაკულტეტზე (დანართი №2).

2. ბრძანების შესრულება დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზაზა ბუაჩიძეს.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს თამარ წერეთელს.
4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს.
5. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი